პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 აპრილი, 1947 წ. № 85 (7869). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელნო! უზრუნველყოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების სრული წარმატება! ვადამდე შეასრულოთ ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმა!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო მოწოდებებიდან

მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა 1947 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს!

2. ყველა ქვეყნის მშრომელნო! იბრძოლეთ მტკიცე მშვიდობისათვის მის გამჩაღებელთა წინააღმდეგ! გაუმარჯოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას!

3. ყველა ქვეყნის მშრომელნო! ამხილეთ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები! ნილაში ჩამოგვლიჯეთ ახალი ომის გაჩაღებლებს! იდექით მშვიდობის საქმის საგუშაგოზე!

4. ყველა ქვეყნის მშრომელნო! ფაშიზმთან უბრძოლველად არ არის დემოკრატია! ძირს ცრუდემოკრატები, რომლებიც მხარს უჭერენ ფაშისტებს! გაუმარჯოს დემოკრატიის სრულ გამარჯვებას ფაშისტებზე და მათს მფარველებზე!

5. გაუმარჯოს ფაშისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ხალხებს, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას!

6. გაუმარჯოს მოძმე სლავ ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

7. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო დასაყრდენს!

8. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც დაიცვეს და დიდებით შემოსეს თავიანთი სამშობლო დიდ სამამულო ომში! საბჭოთა მეომრებო! ფხიზლად დაიცავით მოპოვებული მშვიდობა და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომა!

9. საბჭოთა კავშირის სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მეომრებო! განუწყვეტლივ სრულჰყავით თქვენი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა! აითვისეთ დიდი სამამულო ომის გამოცდილება!

10. გაუმარჯოს საბჭოთა მესაზღვრეებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს!

11. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს — ჩვენი დიადი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

12. მუშებო, გლეხებო, საბჭოთა ინტელიგენციავ! იბრძოლეთ ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის!

13. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გაზარდეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპები!

14. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! უზრუნველყოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების სრული წარმატება! ვადამდე შეასრულოთ ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმა!

15. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაეუფლეთ წარმოების მოწინავე მეთოდებს! განუწყვეტლივ ზარდეთ შრომის ნაყოფიერება!

16. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! იბრძოლეთ უმკაცრესი მომპირნეობისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის! უზრუნველყოთ სახსრების დაგროვება ომისშემდგომი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

17. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაზარდეთ ქვანახშირის მოპოვების ტემპები, მეტი სპობობი მიეცით ფაბრიკებს, ქარხნებსა და ტრანსპორტს! იბრძოლეთ ქვანახშირის მრეწველობის ყოველმხრივი აღმავლობისათვის!

18. ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განუწყვეტლივ გაადიდეთ ნავთის მოპოვება და გადამუშავება! მეტი ნავთი მიეცით სახალხო მეურნეობას!

19. შავი და ფერადი მეტალურგიის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ლითონი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენისა და განვითარების საფუძველია. მოვცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები!

20. ელექტროსადგურების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ელექტროსადგურები, გაზარდეთ ენერგეტიკული სიმძლავრენი! შეუფერხებელად მოამარაგეთ ელექტროენერგიით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა!

21. მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განუწყვეტლივ გაადიდეთ მანქანების გამოშვება! გაუმჯობესეთ საბჭოთა მანქანათმშენებლობის ხარისხი!

22. სოფლის მეურნეობისათვის მანქანების დამამზადებელ საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაზარდეთ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ტემპები! შეავსრულოთ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა — უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობა ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით!

23. საავტომობილო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით ჩვენს ქვეყანას მეტი ავტომობილი! სწრაფად აითვისეთ ახალი ტიპის სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების წარმოება და გაადიდეთ მათი გამოშვება!

24. ქიმიური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველმხრივ განავითარეთ ქიმიური პროდუქტების წარმოება სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის! უზრუნველჰყავით სოფლის მეურნეობა მინერალური სასუქებით!

25. გემთმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძლიერი და მძლავრი ფლოტი! სწრაფად აშენეთ ახალი ხომალდები!

26. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაიჩქარეთ აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოების ტემპები, გადამუჯობესეთ მათი ხარისხი, შეამცირეთ მშენებლობის თვითღირებულება! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში სამრეწველო საწარმოები, ბინები და კულტურული დანიშნულებანი!

27. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! შეუფერხებლად უზრუნველჰყავთ საშენი მასალებით ომისშემდგომი ხუთწლედის მშენებლობანი!

28. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! მოვცეთ მშრომელთ მეტი ქსოვილი, ტრიკოტაჟი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი!

29. კვებისა, ხორცერეულისა და თევზის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება მოსახლეობისათვის!

30. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! მეტი რაოდენობით დაამზადეთ ფართო მოხმარებისა და საოჯახო საგნები! გაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება! ფართოდ გამოიყენეთ ადგილობრივი რესურსები!

31. საბჭოთა რკინიგზელებო! იბრძოლეთ დატვირთვის გადიდებისა და ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის, რკინიგზების აღდგენისა და ახალი მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის! გაუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება!

32. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! სწრაფად მიაწოდეთ ტვირთები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას! იბრძოლეთ 1947 წლის ნაოსნობის სანიმუშოდ ჩატარებისათვის!

33. საბჭოთა ვაჭრობის, კოოპერაციის, საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! ფართოდ გააჩაღეთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, ყოველმხრივ განავითარეთ საქონელბრუნვა! გაუმჯობესეთ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება!

34. კოლმეურნეებო, გლეხებო, მეხს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის მუშაკებო! განვახორციელოთ ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საბრძოლო პროგრამა, რომელიც მიიღო ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა!

35. სოფლის მეურნეობის მშრომელნო! გავხადოთ 1947 წელი უხვი მოსავლისათვის, სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის გაჩაღებული შეტევის დასაწყისად! უმოკლეს ვადაში შევქმნათ პროდუქტების სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის, უზრუნველყოთ სურსათისა და ნედლეულის საჭირო სახელმწიფო რეზერვების დაგროვება!

36. კოლმეურნეებო, მეხს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის მუშაკებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება 1947 წლის მარცვლეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლისათვის! მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სანიმუშოდ ჩატარებისათვის! საკოლმეურნეო მიწათმოქმედების სწრაფი აღმავლობისათვის!

37. კოლმეურნეებო, მეხს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის მუშაკებო! ამრავლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, უხვი მოსავლის ოსტატთა, ორდენოსანთა და სოციალისტური შრომის გმირთა რიგები! გავზარდოთ უხვი მოსავლის რგოლების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეხს-ებისა და რაიონების რაოდენობა!

38. მეხს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებო, კომბაინერებო, მექანიკოსებო! გაადიდეთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის ნაყოფიერება, მიიღწიეთ მინდვრის სამუშაოთა მაღალ ხარისხს! დაეხმარეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მიღებაში!

39. გლეხებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარებო! მიაღწიეთ პირუტყვის სულადობის შემდგომ გადიდებას, გაზარდეთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მოვცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხორცი, რძე, ერბო-კარაქი!

40. კოლმეურნეებო! ყოველმხრივ განამტკიცეთ და განავითარეთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, აამაღლეთ შრომის დისციპლინა, ამრავლეთ კოლმეურნეობათა სოციალისტური საკუთრება! წმიდად დაიცავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი!

41. საბჭოთა მეცნიერების მუშაკებო! გაამდიდრეთ მეცნიერება და ტექნიკა ახალი გამოკვლევებით, გამოგონებებითა და აღმოჩენებით! გაბედულად იარეთ ნოვატორობის გზით! მტკიცედ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევანი!

42. ლიტერატურის, ხელოვნების, კინემატოგრაფიის მუშაკებო! შეჰქმენით დიდი საბჭოთა ხალხის შესაფერი მაღალ-იდეური მხატვრული ნაწარმოებნი!

43. მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი! აღზარდეთ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით!

44. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! საყოველთაო სახალხო მზრუნველობას ნუ მოვავლენთ სამამულო ომის ინვალიდებს და ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუპული გმირი საბჭოთა მეომრების ოჯახებს!

45. საბჭოთა პროფკავშირებო, ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! დაუღალავად იზრუნეთ მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის!

46. საბჭოთა ქალები, იბრძოლეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღმავლობის აქტიურ მონაწილეებს!

47. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილნო! დაეუფლეთ მოწინავე ტექნიკას, მეცნიერებასა და კულტურას! იყავით მტკიცენი და გაბედულნი, ყოველგვარი ხიბლისა გადასალახავად მზადმყოფნი! თავდადებით იშრომეთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

48. საბჭოთა სკოლის მოსწავლეებო! დაეუფლეთ ცოდნას, ემზადეთ გახდეთ ლენინ-სტალინის საქმისათვის მტკიცე მებრძოლნი!

49. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეურნეობისა და კულტურის აღდგენისა და ახალი აღმავლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს სიმძლავრის შემდგომი გაძლიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

50. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების საიმედო დასაყრდენს!

51. გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს, შემოქმედ ხალხს, თავისუფალი სოციალისტური ცხოვრების შემქმნელს!

52. გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში ნაწრთობ ავანგარდს — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

53. გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს — დიდ სტალინს!

54. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი წარმატებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვიდან გაემგზავრა ბ-ნი ჯ. მარშალი

25 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. მარშალი და მისი თანმხლები პირნი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნი ჯ. მარშალი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრნი კ. ვ. ნოეკოვის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის ფ. ფ. მოლოჩკოვის, აგრეთვე სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წევრებმა ელჩ ბ-ნ უ. სმიტის მეთაურობით, მოსკოვში აკრედიტებულ მთელ რიგ საელჩოთა და მისიათა მეთაურებმა.

აეროდრომი მორთული იყო ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ ჯ. მარშალის განცხადება

გამგზავრების წინ აეროდრომზე ბ-ნმა ჯ. მარშალმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

— ძლიერ მოხარული ვარ, რომ შინ ვბრუნდები, მაგრამ, ამასთანავე ვწუხვარ, რომ ამ თათბირზე უფრო მეტ წარმატებებს ვერ მივაღწიეთ. მაგრამ, ეფექრობ, უკან თუ მოვიხედავთ, დავინახავთ, რომ გაკეთებულია გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ გვეგონა მუშაობის დროს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სხვადასხვა წინააღმდეგობათა უდიდეს მნიშვნელობას, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას, ბუნებრივია, ძნელია დაამთავრო და მთლიანად შეათანხმო ხელშეკრულების კონკრეტული პირობები.

მე ჩამოვედი ახალგაზრდა და ამიტომ არამომთმენე ქვეყნიდან. და შესაძლოა ამის გამო ჩვენი მიდგომა ასეთ პასუხსაგებ კონფერენციებისადმი აგრეთვე უთრესად არამომთმენეა.

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ ბოლომდე გულწრფელნი ვართ ჩვენს აშკარად გამოვლენებულ მოუთმენლობაში ვიხილოთ მშვიდობა მთელს მსოფლიოში, დამშვიდება კაცობრიობის გონებაში და შემსუბუქება ევროპის მრავალტანჯული ხალხებისათვის.

მე დიდად გაფასებ თქვენს სტუმართმოყვარეობას, ყურადღებას, თავაზიანობას, რაც მე და შეერთებული შტატების ელეგაციას აღმოგვიჩინეს რუსეთში. აქ ყოფნა მეტად საინტერესო იყო. მე სამუდამოდ დამახსოვდება იგი.

თუ ამინდი ხელსაყრელი იქნება და თვითმფრინავი წესიერი, ხვალ ნაშუადღეს ვაშინგტონში ვიქნები.

დიდი მადლობა. (საქდინფო).

უცანაცსაქნელი ცნობები

პრეზიდენტ ბერუზის გამოსვლა კრეს-კონფერენციაზე

ბაღდადი, 25 აპრილი. (საქდინფო). ეროვნულ ეფეხვილ კონფერენციებისათვის გამოთელ ეროს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ბერუზმა აღნიშნა, უდიდესი მეშობა, რომელსაც მოგრძობა ეწევა პოლონეთის ეკონომიური აღორძინებისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის საქმეში.

ჩვენ, სთქვა პრეზიდენტმა, ბიეფდეთრთ პოლონეთის სრული პოლიტიკური სტაბილიზაციისაკენ, მოთვრდება ანნოტიის ვადა, მან უკვე ეფიდეს შედეგი მოგვეკი. არაფერეალობიდან გამოსულია საერთო რიცხეი 50 ათასს აღწევს. ეს არაფერეალობის ძირითადი და საბოლოო ლაკვდეაციაა, ეჭვი არ არის, რომ ეს ფაქტი დიდად შეეწყობს ხელს ამ უდიდეს ეკონომიურ ამოცანათა შესრულებას, რომელთა გარშემო ჩვენ ამჟამად ვრაზმავთ პოლონეთის მთელი მოსახლეობის ყურადღებას.

ბერუზმა განსაკუთრებით აღნიშნა პოლონეთის უდიდესი ლონისძიებანი დასავლეთი მხარეების პოლონეთის ადგილობრივ ინდუსტრიის აღორძინების საქმეში. ამ მიმართულებით, სთქვა მან, პოლონეთი უდიდეს ლონისძიებებს ხორციელ, როგორიც კი მას შეეძლია მიმართოს, თუ ცენტრალური პოლონეთის ტერიტორიაზე ბრუტუვის სულადობა ოთხის შემდეგ ოსპიდელის ერთ მესამედს შეადგენდა, დასავლეთ მხარეებში იგი ფაქტიურად ნულს უდრიდა, ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. პოლონეთში შემოსულ მთელ პირუტყვსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ჩვენ დასავლეთ მხარეებში გვაბავთ. პოლონეთ ბესსაგრეთა გმირული ლონისძიებები დამთავრდა 57 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორიის გაწმენდა ნაღმებისაგან. მოეგარა რა დღესასწაულის დღეებში დასავლეთი მხარეები, მე პირადად დაეთანხე მინდვრებში გმირული შრომის დაეკვეწყარი სურათები, შრომისა, ენთუზიაზმი, რომელიც ოდნავაც არ ჩამოუვარდება ბრძოლის ველებზე ჯარისკაცთა მამაცობას.

ბერუტმა პასუხი გასცა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიის მუშაობის მსვლელობასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე და კერძოდ სთქვა:

— რაც შეეხება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საკითხს, ჩვენ იგი მოწესრიგებულად მიგვაჩნია ალატსა და პოტსდამში. ცალკეულ ეზრებს, რაც მოსკოვის კონფერენციაზე ამოგელინდა, ეფრო დიპლომატური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პრინციპული. ჩვენ, რასაკვირველია, სრულიად არ ვეთანხმებით ამ ეზრებს, რომლებიც კითხვა ქეეშ აყენებენ ჩვენს დასავლეთ საზღვრებს.

— მე ეფიქრობ,—სთქვა დასასრულ ბერუტმა,—რომ პოლონეთის წესელი ომში, იგრეთვე ომისშემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეში უნდა დაიფასონ ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 25 აპრილი. (საქდინფო). ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოიწონა ანონსმოკეტები სახსრების ასიგნობათა შესახებ, მათ შორის დამატებითი 300 მილიონი დოლარისა ოფუნერებელი რაიონების დასახმარებლად საფინანსო წელის დარჩენილი ნაწილის განმავლობაში (30 ივნისამდე.—რედ.). მაგრამ ეს კანონპროექტი ახლა ვინმოლოდ უნდა იქნას სენატისა და წარმომდგენელთა პალატის მიერ შეტანილი დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ მოთვრობებმა, რომლებიც შემდეგ ოკუპირებენ ქვეყნებში შეიქმნენა, ინტერნაციონალ შეერთებულ შტატებს დახმარება.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფორგანიზაციების ამოცანები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესრულებაში

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროფესიული ორგანიზაციების ამოცანები „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესრულების საქმეში.

საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმების შესასრულებლად. საჭიროა დაწესდეს სისტემატური კონტროლი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე, შემოწმდეს მუშათა შრომის ანაზღაურების, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ფულადი და ნატურალური ანაზღაურების გაცემის სისწორე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობას უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების უბნებში, საველე ბანაკებში, სატრაქტორო ბრიგადებში: შეიქმნას წითელი კუთხეები, მოძრავი კულტვაგონები, აგიტმანქანები, მოძრავი ბიბლიოთეკები, საველე სამკითხველოები.

მრეწველობის იმ დარგების საწარმოების მუშათა პროფორგანიზაციებს, რომლებსაც სოფლის მეურნეობის შეკვეთები აქვთ, ევალებათ სისტემატური კონტროლი დააწესონ მანქანების, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების გამოშვების გეგმების შესრულებაზე.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებაა მოეწყოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შეფობა მტს-ებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებზე საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში დახმარების გასაწევად. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დაწესებულებების რემონტისა და მოწყობისათვის გამოყოფილია 18,5 მილიონი მანეთი. ეს სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას კლუბებისა და წითელი კუთხეების აღსადგენად და გასაფართოებლად, აგიტმანქანების მოსაწყობად და სხვა. საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშა-მოსამსახურეთა დასვენებისა და მკურნალობისათვის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით ასიგნებულია 22.675 ათასი მანეთი. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მითითებით სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები პირველ რიგში უნდა მიეცეს სოფლის მეურნეობის სტახანოველებსა და იმ სპეციალისტებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ დავალებებს.

ზაფხულის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშა-მოსამსახურეთა პროფორგანიზაციები პიონერთა ბანაკებში გაგზავნიან 41.450 ბავშვს. ფართოვდება საბავშვო ბაგების, ბაღებისა და სეზონური მოედნების ქსელი. (საქდესი).

კრემლის კედლებისა და კოშკების რესტავრაცია

მიმდინარეობს ძველი რუსული ხუროთმოძღვრების დიადი ძეგლის—მოსკოვის კრემლის კედლებისა და კოშკების კაპიტალური რესტავრაცია. ხარაჩოები არტყია ვოდოვზვოდნის, ხარებობის, ტაინიცკისა და ნაბატის კოშკებს. აქ სცვლიან კრამიტის სახურავს, დაძველებულ და ჩამომტვრეულ აგურს, აახლებენ თეთრი ქვის დეკორაციულ მორთულობას.

ამას წინათ დამთავრდა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს უკან მდებარე სენატის კოშკის რესტავრაცია. იგი ისეთივე გახდა, როგორიც XVII საუკუნეში იყო. რესტავრატორებმა კოშკის კარავი ფერადი კრამიტით დახურეს, მოაჯირებსა და რაფებზე განაახლეს არქიტექტურული დეტალები, ნაწილობრივ შესცვალეს აგური. ზუსტად არის აღდგენილი ძველი რუსული ორნამენტი. ახლა ოქროს ვარაყით ბრწყინავს კარავის ირგვლივ შემოვლებული ლითონის ბაბთისებრი სამზერები და კოშკის თავზე დადგმული აფქოო.

პირვანდელი სახე მიეცემა კრემლის დანარჩენ კოშკებსაც. ფერადი კრამიტი და თეთრი ქვის ბაბთი დაამშვენებს მათს კარვებს. დაძველებული აგური შეიცვლება ახლით, რომელსაც სპეციალურად ამზადებს მოსკოვსახლო მდებარე პუჩინოს აგურის ქარხანა. კრემლის კოშკების რესტავრაციისათვის ძველი რუსული სტილის კრამიტს დაამზადებს პავლოვო-პოსადის კერამიკული ქარხანა. (საქდესი).

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მტს-ებსა და კოლმეურნეობებში მიდიან

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა აგრონომიული ფაკულტეტების 5.500-ზე მეტი სტუდენტი მიდის მტს-ებსა და კოლმეურნეობებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ჩატარებაში დახმარების გასაწევად. ბევრ სტუდენტს გზავნის ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, 1.100-ს გორკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 280 კაცს—საქართველოს, ბელორუსიის, უკრაინის, ალტაის მხარის, სვერდლოვსკის, მოლოტოვისა და ტამბოვის ოლქების უმაღლესი სასწავლებლები.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მითითებით სტუდენტები მტს-ებსა და კოლმეურნეობებში თვენახევარს დაჰყოფენ. მათ დავალებული აქვთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად განახორციელონ თესვის სამუშაოთა ხარისხის შემოწმება.

ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელ ქარხანაში შეუდგნენ ლენის სახტუმბავი ახალი მანქანის აწყობას. სურათზე:—ზეინკალი შ. ომანიძე (მარცხნივ) და ინჟინერი შ. რუხაძე ახალი მანქანის აწყობისას

ფოტო რ. ბაკოფოვისა

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის აღსანიშნავი

სოციალისტური შეჯიბრება

აგარელები იბრძვიან მეტი შაქრისათვის

ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა 1946 წლის მეორე ნახევარში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია და შაქრის გამოშვების გასული წლის გეგმა 143 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო მეტი წარმატება მოიპოვა ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — გეგმა შესრულებულია 155 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივი არ კმაყოფილდება მიღწეულით და ამოცანად ისახავს ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად ახალი გამარჯვებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის ოცდამეათე წლისთავი.

ამ მიზნით ქარხნის კოლექტივი კისრულობს ხუთწლედით გათვალისწინებული შაქრის გამომუშავების 1947 წლის გეგმა 97 ათასი ცენტნერის რაოდენობით შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, ხოლო „გლავსახარის“ მიერ დამტკიცებული წლიური გეგმა 110 ათასი ცენტნერის რაოდენობით გაანაღდოს 1947 წლის 1 დეკემბრისათვის; შაქრის თვითღირებულება დამტკიცებული გეგმის გადამეტებით შეამციროს 6 პროცენტით, ხოლო 1946 წლის ფაქტიურ თვითღირებულებასთან შედარებით — 15 პროცენტით; დაზოგოს სათბობი 0,2 პროცენტით და ელექტროენერგია 3 პროცენტით; შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით გაადიდოს 20 პროცენტით; 1950 წლისათვის ხუთწლედით გათვალისწინებული შაქრის გამოშვების გეგმა 135 ათასი ცენტნერის რაოდენობით შეასრულოს 3 წლით ადრე, 1947 წლის 25 დეკემბრისათვის; 1 სექტემბრისათვის დაამთავროს ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების გეგმები, ხოლო კაპიტალური მშენებლობის დავალება გაანაღდოს 7 ნოემბრისათვის; უზრუნველჰყოს შაქრის ჭარხლის სანიმუშო შენახვა პუნქტებში.

იკისრა რა ეს ვალდებულებები, ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ყუბანის I-ლი შაქრის ქარხნის კოლექტივი.

შესრულებულია თევზჭერის ნახევარი წლის გეგმა

საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობებმა ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად იკისრეს თევზჭერის ნახევარი წლის გეგმა შესრულებინათ საპირველმაისოდ. ამ ვალდებულების გასანაღდებლად მეთევზეებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და თავიანთი სიტყვა კიდეც შეასრულეს. 11 აპრილისათვის ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით დაჭერილი იყო 944 ცენტნერი თევზი. თევზჭერა წარმატებით გრძელდება. მეთევზეები საპირველმაისოდ სამშობლოს მრავალ ათას ცენტნერ თევზს პირდებიან საჩუქრად.

პირველი თვითმავალი კომბაინი

სიზრანი. 24 აპრილი. (საქდესი). სიზრანის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე დაამთავრა თვითმავალი კომბაინის პირველი საცდელი ნიმუშის აწყობა. დღეს სწარმოებდა ახალი მანქანის საქარხნო გამოცდა, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

დაიწყო კიდევ ორი მანქანის აწყობა. გაჩაღებულია მზადება კომბაინების სერიული გამოშვებისათვის.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში

ეს იყო იანვარში. ლენინის სახელობის მაღაროს (ჭიათურა) მესამე უბანი ჩამორჩებოდა. გეგმის შესრულების მაჩვენებელი არ აღემატებოდა 90 პროცენტს. მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დაწვრილებით შეესწავლა უბნის ჩამორჩენის მიზეზები და შედეგები პარტიულ კრებაზე განეხილათ. საკითხის მომზადება კომუნისტებს მაღაროს მთავარ ინჟინერ კ. ზამთარაძეს და ეკონომისტ ბ. ასანიძეს დაევალა. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს უბნის მუშაობის „ვიწრო ადგილები“ და კრებასაც სრული ანალიზი წარუდგინეს. კრებაზე აღინიშნა, რომ უბანში ირღვევა გრაფიკი, სუსტია შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა. პარტიულმა კრებამ კონკრეტული დადგენილება მიიღო.

მაღაროში სოციალისტური შეჯიბრებაც არ იყო ფართოდ გაშლილი, იგი ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პარტიულმა ბიურომ ეს საკითხიც მსჯელობის საგნად გახადა. 26 თებერვალს მოსმენილ იქნა მაღარკომის თავმჯდომარის ამხ. დ. ვაჩაძის მოხსენება ლენინგრადის საწარმოთა მოწოდების საპასუხოდ სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მიმდინარეობის შესახებ. კამათში გამოვიდნენ მაღაროს დირექტორი ა. ფხალაძე და აღმრიცხველი ბაბო ჩაჩანიძე. რა გამოირკვა? ყველა მუშა არ იყო ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, ბევრი ვალდებულებას ვერ ასრულებდა. კრებაზე აღინიშნა: მართალია, მაღარო გეგმებს ასრულებს, მაგრამ ეს ტემპი საკმარისი სრულებით არ არის, რომ წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის შესრულდეს. მიღებულ იქნა დადგენილება.

პარტიულმა ორგანიზაციამ სისტემატური კონტროლი დააწესა თავის დადგენილებათა შესრულებისადმი. ამან დადებითი შედეგი მოიტანა. უბანში იწყეს გრაფიკის მტკიცედ დაცვისათვის, ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლა. განმტკიცდა დისციპლინა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, შემცირდა მუშათა მოცდენა.

თუ რა შედეგი მოგვცა პარტიული ორგანიზაციის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ, სჩანს შემდეგი ციფრებიდან: უბნის კოლექტივმა მარგანეცის გამოღების თებერვლის დავალება შეასრულა 108,6 პროცენტით, მარტისა — 124,9 პროცენტით, ხოლო აპრილის პირველი დეკადისა — 120 პროცენტით. უბნის კოლექტივის ვალდებულებაა 7 ნოემბრისათვს შეასრულოს წლიური დავალება. ეს პირობა რომ შესრულდეს, უბანი ყოველდღიურ დავალებას 115 პროცენტით უნდა ასრულებდეს, სინამდვილეში კი გეგმის შესრულების მაჩვენებელი 120 პროცენტს ქვევით არ იწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მესამე უბნის კოლექტივი პირნათლად გაანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას.

ენერგიულად მუშაობენ უბნის კომუნისტები ცვლის უფროსი პ. ფარქოსაძე, ამწმენდები პ. ცარციძე, ვ. ჩაჩანიძე, გ. ბუდაძე, პ. სამხარაძე, მბურღავი გ. თოდაძე. პარტიაში ახლად მიღებული ამხ. ვ. ბუდაძე გეგმით ცვლაში 11,5 ტონა მარგანეცს უნდა იძლეოდეს, სტახანოვური განრიგით 15 ტონა უნდა მოგვცეს, ფაქტიურად კი 20-25 ტონას იძლევა. ასევე თავდადებული შრომის საუცხოო ნიმუშებს იძლევიან პარტიაში ახლად მიღებული ახალგაზრდები ზ. მოდებაძე, ა. ბრეგვაძე, ა. ბარბაქაძე, გ. შუბითიძე, გამოცდილი მუშა ორდენოსანი ვ. მესხი და სხვ.

გამამდიდრებელ ფაბრიკაში, რომელსაც კომუნისტი ინჟინერი ვ. სალინაძე ხელმძღვანელობს, სარეცხი დაზგების ცხრილების კონსტრუქციის შეცვლით მიაღწიეს მარგანეცის ხარისხის სერიოზულ გაუმჯობესებას. აღარ სწარმოებს მეოთხე ხარისხის მარგანეცის გამოშვება, გაიზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის დამზადება. ამასთან ერთად შემცირდა მადნის დანაკარგი.

კომუნისტებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს მაღაროს წარმატების საქმეში. მაღაროს კოლექტივმა თებერვალში მეორე ადგილი მოიპოვა სსრ კავშირში. უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრეს აქ მარტი: მარგანეცის გამოღების გეგმა შესრულებულია 107,4 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 106 პროცენტით. პირველი კვარტალის შედეგები ასეთია: გეგმის გადამეტებით გამოღებულია 3.663 ტონა მარგანეცი, სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა შესრულდა 102,3 პროცენტით, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგილია 63.443 მანეთი. კარგად მუშაობს მაღარო აპრილშიც.

მაღაროს კომუნისტების, მთელი კოლექტივის ღირსების საქმეა არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი, გაანაღდონ დაპირება — წლიური გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კინტოურ-ყარაჩოღული სიმღერების გამოცემის გამო

საქართველოს სსრ მუსიკალურმა ფონდმა გამოსცა პროფესორ დ. არაყიშვილის ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს ერთხმიანი და გუნდური ქალაქური სიმღერა“. წიგნში, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, განხილულია „ქართული ხალხური ერთხმიანი და გუნდური სიმღერა, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქის მოსახლეობაში“ (გვ. 7).

ცნობილია დ. არაყიშვილის უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული ნაციონალური ოპერისა. მისი ოპერები, სიმფონიები, რომანსები ქართველი ხალხის მუსიკალური კულტურის საგანძურში შევიდნენ. დ. არაყიშვილი ამავე დროს არის დაუცხრომელი პოპულარიზატორი და პროპაგანდისტი ქართული მუსიკისა, ერთ-ერთი დამწყები და თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართული მუსიკათმცოდნეობისა. მისი ზემოხსენებული წიგნიც მუსიკათმცოდნეობის საკითხების გარკვევის მიზნით არის დაწერილი. მაგრამ ამ წიგნში არა სჩანს ის ბრძოლა ქართული მუსიკის სიფაქიზისა და სიწმინდის დაცვისათვის, რომელიც დ. არაყიშვილს მუდამ ახასიათებდა. როცა მკითხველი ეცნობა ზემოხსენებულ წიგნში წარმოდგენილ სიმღერების ტექსტებს, ის რწმუნდება, რომ ეს სიმღერები (გამონაკლისებს გარდა) არ არის ხალხური, მათ ხალხის მისწრაფებასთან, მის კეთილშობილურ იდეალებთან, მის სულიერ განწყობილებასთან საერთო არა აქვთ რა. წიგნში წარმოდგენილია ის ჰანგები, რაც გვიანდელი საუკუნეების პატრიარქალურმა აზიამ „მემკვიდრეობად“ დაგვიტოვა და რაც შემდეგში კიდევ უფრო გაათახსირეს კინტოურ-ყარაჩოღულმა „მგოსნებმა“, დამკვრელებმა და მომღერლებმა. ამ სიმღერების გასაღება „ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთ შტოდ“, როგორც ამას სჩადის დ. არაყიშვილის წიგნის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი შ. ასლანიშვილი, დიდი შეცდომაა. ჩვენ სულ ადვილად დავრწმუნდებით ამაში, თუ ამ წიგნშივე მოთავსებული ზოგიერთი სიმღერის ტექსტს გავეცნობით. აი, მაგალითად:

„ქერიფო, შენი კანჭები —
ნეტავ რას იპრანჭები“ (გვ. 23).

ამ ლექსს ქვესათაურად წარწერილი აქვს: „ხალხური“. მაგრამ ეს სიყალბეა. სად არის აქ ქართული ხალხური სიმღერის სინატიფე და კდემამოსილება?

აქვეა „მენახშირე“, რომელსაც „სახლში ცოლი დაუხვდება, მენახშირეს დაუწვება“ (გვ. 29); ესეც ხალხურ სიმღერადაა გასაღებული. აქვეა ყოვლად ბინძური „შენც გინდოდა, მეც მინდოდა, მოციქული რად გვინდოდა“ (გვ. 24); ამისთვისაც ხალხური სიმღერა უწოდებიათ. კიდევ უფრო უშვერია სიმღერა „ავარ-ავარ დავდივარ“:

„ავარ-ავარ დავდივარ
ღამე შინ არ შავდივარ,
დედაჩემსა ჰგონია
სულ ქალებში დავდივარ“. (გვ. 26).

ასევე უხამსია მეთხუთმეტე სიმღერა, რომელიც აგრეთვე ხალხურადაა გასაღებული და რომელიც ავტორს მოუსმენია 30 წლის წინათ ერთ-ერთი რესტორანის მეპატრონისაგან, ხოლო თვითონ რესტორანის პატრონს ის გაგონილი ჰქონია თურქებისაგან კონსტანტინოპოლში თუ ბათუმში. აქ უკვე თავისთავად ყალბი პრინციპია აღებული. ხალხური როდი ჰქვია ყველა ნაწარმოებს, რომლის ავტორიც უცნობია. ხალხურია ის, რაც ხალხის ფიქრს, გრძნობას, მისწრაფებას გამოჰხატავს. აბა რა ხალხური გრძნობა დაინახეს წიგნის ავტორმა და რედაქტორმა სიტყვებში: „როცა გეხვეწე, ბალა-ბალა, არ გამათხოვე, შაშა ხელიდან, ბალა-ბალა, რად გამიფრინე“. აქვე წარმოდგენილია „ვაჰ, ტიკო, ტიკო, ჯან, ტიკო-ტიკო“, აქვეა ბულვარული „არ გაკოცო არ იქნება“, და ბოლოს ყველაზე უხამსი „პარახოდი მოდის, აღარ ჩერდება“. „პარახოდის“ ის ტექსტი, რომელიც დაბეჭდილია ზემოხსენებულ წიგნში, ყოვლად შეუძლებელია მოვიყვანოთ გაზეთის ფურცლებზე, რადგან ეს იქნებოდა შეურაცხყოფა მკითხველისა. ეს იქნებოდა იმ ელემენტარული წესის დარღვევა, რომელიც კრძალავს საჯარო ადგილებში უწმაწური სიტყვებით ლაპარაკს. მით უმეტეს, რომ ამ „პარახოდში“ სიტყვა—პიონერი—ნახსენებია ყოვლად ცინიკურ კონტექსტში, ისევე როგორც ოცდამეცამეტე სიმღერაში აგდებულად არის ნახსენები სიტყვა „კომსომოლა“. განა ეს ხალხურია?

ამ უმსგავსი „ნაწარმოებების“ გვერდით დაბეჭდილია აკაკი წერეთლის „სად ხარ ჩემო სალამურო“, „თაო ჩემო“, ილია ჭავჭავაძის „მკრთალი ნათელი“. რა არის ეს, თუ არა შეურაცხყოფა ილიას და აკაკის სახელებისა?

აქვთ თუ არა კინტოურ-ყარაჩოღულ სიმღერებს რაიმე საერთო ქართულ კულტურასთან, გამოხატავენ თუ არა ისინი ჩვენი ხალხის მსოფლშეგრძნობას? ამ კითხვაზე კატეგორიულად უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ეს არის ის მყრალი ყვავილები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ამოდიოდა შემოსეულ ყიზილბაშთა ცხენისანი პოლკების ნაბანაკევზე. სამართლიანად აღნიშნავს ამას თვითონ არაყიშვილიც: „რანაირად მოხვდნენ ეს სიმღერები საქართველოში?—კითხულობს იგი და ასეთ პასუხს იძლევა:—ამ სიმღერების გაჩენა უნდა ავხსნათ ისტორიულად, როცა საქართველო, დაპყრობილი ირანის მიერ, განიცდიდა ამ უკანასკნელის გავლენას. ეს იყო განსაკუთრებით საქართველოს მაჰმადიანი მეფეების დროს მე-16 და მე-17 საუკუნეებში, როცა სპარსული ზნეჩვეულებების დანერგვა ხდებოდა იარაღის ძალით. ამავე საშუალებით ინერგებოდა ირანული მუსიკაც, რომელიც შემდეგ გადამუშავდებოდა ხოლმე ქართველი ხალხის შემოქმედების ბრძმედში“ (გვ 9).

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს ცეცხლითა და მახვილით დანერგილი გავლენა არასოდეს ორგანულად არ შესულა ქართველი ხალხის შემოქმედებაში. მან ვერ აამღვრია ანკარა წყარო ქართული ხალხური შემოქმედებისა. ის ყოველთვის ილექებოდა ფსკერზე და მხოლოდ ამ ფსკერის ნაძირალების სასიმღერო ჰანგებად იქცეოდა. თვითონ არაყიშვილი აღნიშნავს, რომ „ავარ-ავარ დავდივარ“ თურქულია და არავითარ შემთხვევაში ქართულ სიმღერად არ ჩაითვლებაო, რომ „ბალა-ბალაც“ ასევე კინტოურ-ყარაჩოღულია, რომ „პარახოდიც“ ფრივოლურია და კინტოს შესრულებით ისინი ძალიან ვულგარულნი არიანო (გვ 14-15). მაშ რა საჭირო იყო მათი გამომზეურება?

ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულად მოწინავე ქართული მწერლობა მუდამ ებრძოდა ამ გამათახსირებელ ყიზილბაშურ გავლენას. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩვენი დიდი მემატიანე ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებდა რა გამაჰმადიანებული მეფის როსტომის (მეფობდა ქართლში 1632-1658 წლებში) ეპოქას, აღნიშნავდა: „...ამა როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერია ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი,... კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი. რამე თუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდევ არავის სცემდენ პატივსა“... აქ ვახუშტი ლაპარაკობს ისეთ მეჩანგეებსა და მგოსნებზე, რომელნიც „სიძვამრუშებასა“ და „უგვან კეკლუცობას“ აიდეალებდნენ და აღიდებდნენ. მამუკა ბარათაშვილი თავის „ჭაშნიკში“, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ქართული პოეტიკის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა და რომელიც ერთგვარი მანიფესტი იყო იმ თაობისა ქართული კულტურის ჯანსაღ ფესვებთან დაბრუნებისათვის რომ იბრძოდა. აი ეს მწერალი ხსენებულ ჭაშნიკში ჰგმობდა მათ, ვისაც „თათრის ზღაპრები გაულექსავთ მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ“. ეს არ იყო მარტო მამუკა ბარათაშვილის აზრი, ეს გამოხატავდა იმ განწყობილებას, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ ვახტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და საერთოდ ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე მეთვრამეტე საუკუნისა.

განსაკუთრებით მკაცრი ბრძოლა მოწინავე ქართულმა საზოგადოებრიობამ ყიზილბაშობის ამ ნაშთებს გამოუცხადა მეცხრამეტე საუკუნეში. გენიალურმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა სრულიად ახალ გზაზე გადაიყვანა ქართული პოეზია. პოეტი ვახტანგ ორბელიანი თავის ლექსში სწერდა:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შეაბაზრისა,
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,
მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო, ლაზღანდრობა, ყაყანი,
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი,
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?
მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩქვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მიმდინარე,
რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,
ან ლოპიანს, ან დიმიტრი ონიკოვს,
ჩემი გული სხვაგვარ სურათებს ითხოვს“.

ეს არის აზრი არა მარტო ვახტანგ ორბელიანისა, არამედ მთელი მოწინავე ქართული მწერლობისა. ამასვე აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე 1871 წელს თავის წერილში „ფიქრი ლიხის მთაზე“. ამასვე სწერდა გიორგი წერეთელი 1870 წელს წერილში „დავით გურამიშვილი და იმისი წინადროება“. გიორგი წერეთელი ამბობდა, რომ ყოველი ბაიათის ხმა ქართველ კაცს მინარეთიდან მაჰმადის მოლას ყვირილს, ზნის შერყვნას და ქართველობის შემუსვრას აგონებსო. გიორგი წერეთლის წერილში ვკითხულობთ: „როცა კაცს სიკვდილს ემუქრებიან, მაშინ მტარვალის სიმღერა მას სამარეს აგონებს. როდესაც მტერი ქართველ ერს პირდაპირ უდგა და სიმღერით დასცინოდა იმის უძლურებას, მაშინ იმას თვალებიდან სისხლნარევი ცრემლის მეტი არა გადმოსდიოდა. ამისთვის ერმა დაიხშო გული ამ პოეზიისათვის, ყურები დაიცო და დაუცხრომელი ბრძოლისათვის გამზადებულმა გამოიძახა ღრმა პატრიოტული საყვირითა. ტკბილი ბაიათების და სიმღერის მაგივრად, იმან დაუკრა ბრძოლის ნაღარა და გული განიმხნევა თავისი გამოჩენილი კაცების ღვაწლის აღწერითა“.

კინტოების წინააღმდეგ თავის ლექსში ილაშქრებდა რაფიელ ერისთავიც (იხ. „ივერია“, 1880 წ., № 1, გვ. 164). მიუხედავად მოწინავე ქართული მწერლობის ამ იდეური და პრინციპული ბრძოლისა, აქა-იქ მაინც დარჩა ეს გატაცება კინტოთი და ყარაჩოღელით. სულ რაღაც ათეული წლების წინათ კინტო მოდაში იყო თეატრსა და ლიტერატურაში. ახლა კი მან მუსიკალურ ლიტერატურაში ამოჰყო თავი და მეცნიერული ნაშრომის ფურცლებიდან მოგვევლინა. დროა ამ სიბილწესთან — კინტოსა და ყარაჩოღელის ტრადიციასთან—ერთხელ და სამუდამოდ ყოველგვარი ანგარიში გავასწოროთ. ვის რად უნდა ასეთი „მემკვიდრეობა“. დაკარგვისა გვეშინია? დაე დაიკარგოს. გზაც იქითა ჰქონია. ამ „მემკვიდრეობას“ ჩვენ ვერ გავუფრთხილდებით. კინტოურ-ყარაჩოღული სიმღერაცა და პოეზიაც იყო წყლული ქართული კულტურის სხეულზე, ეს ნათურქალი და ნასპარსალი ჰანგებია, რომელიც უკვე დიდიხანია მოკვდა და ახლა იმის აღდგენა აღარავისთვის აღარ არის საჭირო.

ჩვენ ვერ გავამართლებთ ამ სიმღერების ტექსტებისა და ნოტების დაბეჭდვას. იქნებ წიგნის ავტორი და რედაქტორი შეგვედაონ—ჩვენ ეს სიმღერები წმინდა მხატვრული და მეცნიერული თვალსაზრისით გვაინტერესებდაო: მათ მართლაც იქნებ მარტო ამ სიმღერების ორნამენტიკა, მელიზმი და რიტმი აინტერესებდათ. მაგრამ მაშინ რა საჭირო იყო ამ სიმღერების ნოტებიანურთ დაბეჭდვა ორიათასიანი ტირაჟით და მათი გასაყიდად გამოტანა წიგნის მაღაზიებში?

სიმღერებისა და ნოტების ეს კრებული არ უნდა ეწყოს საბჭოთა წიგნის მაღაზიისა და საბჭოთა ბიბლიოთეკის თაროებზე.

გ. ნატროშვილი

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

23 და 24 აპრილის სხდომები

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

მინისტრებმა განიხილეს თავიანთ მოადგილეთა მოხსენება იმ შეთანხმებულ და შეუთანხმებელ საკითხებზე, რომლებიც გერმანიას ეხება.

დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციის, დემოკრატიზაციის, მოსახლეობის ადგილგადანაცვლებისა და ტერიტორიული რეორგანიზაციის საკითხებზე მოადგილეებმა რჩევა მისცეს მინისტრთა საბჭოს განხილული დოკუმენტების შეთანხმებული მუხლები გადასცეს გერმანიაში არსებულ საკონტროლო საბჭოს როგორც სახელმძღვანელო და სამოქმედო დირექტივა. მინისტრებმა დაამტკიცეს ეს რეკომენდაცია. გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციის, დემოკრატიზაციის, მოსახლეობის ადგილგადანაცვლებისა და ტერიტორიული რეორგანიზაციის დარგში შეუთანხმებელი საკითხები გადაეცა საკონტროლო საბჭოს საინფორმაციოდ და [illegible]

[illegible] ანთა პოზიციები ჯერ არ ჩამოუყალიბებიათ ამ წინადადების შესახებ.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ძალაში სტოვებს თავის წინადადებას, რათა შეუთანხმებელი ეკონომიური საკითხები მინისტრთა მოადგილეებს გადაეცეს შემდგომი შესწავლისათვის.

ჯ. მარშალმა მოხსნა ამერიკის დელეგაციის საწინააღმდეგო აზრი ამ წინადადების გამო. მაგრამ ე. ბევინი არ დაეთანხმა სხვა მინისტრებს. ამის შედეგად მიღებულ არ იქნა საბჭოთა წინადადება მინისტრთა მოადგილეებისათვის შემდგომ შესასწავლად შეუთანხმებელი ეკონომიური საკითხების გადაცემის შესახებ.

მოადგილეებმა თავისი მოხსენების მესამე ნაწილში მინისტრთა საბჭოს წარუდგინეს რეკომენდაციები გერმანიის დროებითი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმისა და მოცულო- [illegible]

[illegible] ტისა და საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილ დამატებათა განხილვა.

ჟ. ბიდომ დაადასტურა: საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი პრინციპულად მზად არის მიიღოს ოთხმხრივი ხელშეკრულების ამერიკის პროექტი და ამავე დროს ჩამოაყალიბა ზოგიერთი დამატება, რომლებიც, მისი აზრით, საჭიროა შეტანილ იქნას ამ პროექტში. იგი ღე- [illegible]

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲧᲕᲔᲗᲐ ᲠᲔᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მინისტრებმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს გერმანელ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხზე და მიიღეს საბჭოთა დელეგაციის მიერ ამ საკითხზე შეტანილი წინადადება.

მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებს, რომ გერმანელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და ყველა სხვა ტერიტორიაზე იმყოფებიან, გერმანიაში დაბრუნებულ იქნებიან 1948 წლის 31 დე- [illegible]

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

[illegible]

Ჯ. ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲗᲮᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible]

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

[illegible]

Ჯ. ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

[illegible]

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

[illegible]

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible]

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible]

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible]

ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

[illegible]

იუგოსლავიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

ბელგრადი, 24 აპრილი. (საკდესი). გუშინ იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინის ორივე პალატის ეკონომიური დაგეგმვისა და ფინანსთა კომისიები შეუდგნენ იუგოსლავიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონპროექტის განხილვას. ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა იუგოსლავიის საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ხებრანგმა. ხებრანგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების დეტალური გეგმის შემუშავება შესაძლებელი გახდა იმ ძირფესვიანი ცვლილებების მეოხებით, რომლებიც იუგოსლავიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებასა და ეკონომიკაში მოხდა.

ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა, სთქვა ხებრანგმა, იუგოსლავიის გადაქცევა ეკონომიურად, ტექნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნიდან ინდუსტრიულ, კულტურულ და ძლიერ სახელმწიფოდ. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში შეადგენენ 278.300 მილიონ დინარს. აქედან სამრეწველო მშენებლობას მოხმარდება 120 მილიარდზე მეტი დინარი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მძიმე მრეწველობის, პირველ რიგში შავი მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის განვითარებას. პარალელურად განვითარდება კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

ხუთწლიანი გეგმის მეორე მთავარი ამოცანაა იუგოსლავიის ელექტროფიკაცია, რის საჭიროებისთვისაც ასიგნებულია 30 მილიარდი დინარი. 1951 წელს გამომუშავებული იქნება ოთხჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1939 წელს.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე დიდ დაბანდებებს სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ფასეულობითი გამოხატულებით 1951 წელს 151 პროცენტით გაიზრდება 1939 წელთან შედარებით. ჩატარდება ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოება სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დარგში, აგრეთვე სამელიორაციო სამუშაოები 800 ათას ჰექტარ ფართობზე. გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია იუგოსლავიის გლეხობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სწრაფი ამაღლება.

ხებრანგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეგმაში გამოხატულება ჰპოვა მთავრობის ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია ცალკეული სახალხო რესპუბლიკების არათანაბარი განვითარების შედეგების ლიკვიდაციისაკენ. ამიტომ განვითარების უფრო მაღალი ტემპი გათვალისწინებულია ისეთ უფრო ჩამორჩენილ რესპუბლიკებში, როგორიცაა ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია და ჩერნოგორია.

შრომის ნაყოფიერების გადიდება დაგროვებისა და იუგოსლავიის მშრომელთა სასიცოცხლო დონის ამაღლების მთავარი წყარო იქნება. გეგმა ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და მშრომელი გლეხობის შემოსავლის გადიდებას. ხუთწლედის განმავლობაში სახელმწიფო 55.700 მილიონ დინარს გაიღებს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, კულტურული დაწესებულებებისა და სხვათა მშენებლობისათვის.

ხუთწლიანი გეგმა, სთქვა დასასრულ ხებრანგმა, უდიდეს პერსპექტივებს სახავს ჩვენი ხალხების წინაშე. იგი საიმედო, მკვიდრ საძირკველს ჩაუყრის ჩვენს უკეთეს ბედნიერ მომავალს. ხუთწლიანი გეგმა შესცვლის ჩვენი ქვეყნის სახეს. ცხადია, ასეთი დიდი და ყოველმხრივი ამოცანების განხორციელება იოლი როდი იქნება. მაგრამ ჩვენ წარმატებით გადავლახავთ ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას და შევასრულებთ ჩვენს ხუთწლიან გეგმას.

ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ხელმოწერილია სავაჭრო ხელშეკრულება

სოფია, 23 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ ხელმოწერილ იქნა სავაჭრო ხელშეკრულება ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ოთხი წლის ვადით. ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის გაცვლა-გამოცვლა ორივე ქვეყანას შორის შეადგენს 20 მილიარდ ლევს. ხელშეკრულების თანახმად, ჩეხოსლოვაკია ბულგარეთს მიაწვდის ელექტროსადგურთა მოწყობილობას, სატვირთო ავტომობილებს, სხვადასხვა მანქანებს და საშენ მასალას. ბულგარეთი ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის თამბაქოს, ჯაგარს და სხვა საქონელს. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაციის ხელმძღვანელი დოქტორი გუბერტ რიპკა მიიღო ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა გიორგი დიმიტროვმა.

იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატის არჩევნები

ტოკიო, 24 აპრილი. (საკდესი). 20 აპრილს იაპონიაში შესდგა პარლამენტის მრჩეველთა პალატის (ზედა პალატის) არჩევნები. არჩევნები ხდებოდა საერთონაციონალური და ადგილობრივი საარჩევნო ოლქების მიხედვით. საერთონაციონალური საარჩევნო ოლქის მიხედვით 100 ადგილზე წამოყენებული იყო 247 კანდიდატი, ხოლო ადგილობრივი საარჩევნო ოლქების მიხედვით 150 ადგილზე—331 კანდიდატი. ყველაზე მეტი წამოყენებული იყო უპარტიო კანდიდატი, ანუ ეგრეთწოდებული „დამოუკიდებლები".

პრესის ცნობებით, არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველთა მეტად დაბალი აქტივობის პირობებში. საშუალოდ მთელ იაპონიაში ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიიღო ყველა ამომრჩეველთა 40 პროცენტმა. ტოკიოში ხმის მიცემას თავი აარიდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 50-მდე პროცენტმა. ხმის მიცემაში განსაკუთრებით მცირე რაოდენობით მიიღეს მონაწილეობა ქალებმა. არჩევნების დროს ხშირა იყო საარჩევნო კანონის უხეში დარღვევა. ოფიციალური ცნობებით, მარტო იაპონიის დედაქალაქში აღინიშნა ამომრჩეველთა მოსყიდვის 174 შემთხვევა.

წინასწარი ცნობებით, მრჩეველთა პალატაში არჩეულია 109 დამოუკიდებელი კანდიდატი, სოციალისტური პარტიის 47 კანდიდატი, ლიბერალური პარტიის 43 კანდიდატი, დემოკრატიული პარტიის 30 კანდიდატი, სხვადასხვა წვრილი პარტიების 9 კანდიდატი, სახალხო თანამშრომლობის პარტიის 8 კანდიდატი და კომუნისტური პარტიის 4 კანდიდატი.

როგორც ძიძი ცუსინის სააგენტო იუწყება, მრჩეველთა პალატაში არჩეულია ყოფილი ზედა პალატის 23 დეპუტატი, მათ შორის საიმპერატორო კარის ყოფილი მინისტრი და იმპერატორის უახლოესი ნათესავი ცუნეო მაცუდაირა, მარკიზი იორისადა ტოკუგავა, სამხრეთ მანჯურიის რკინიგზის ყოფილი დირექტორი გრაფი გიიცი მურაკამი, მსხვილი ფინანსისტი მარკიზი კიცინოსუკე საიგო და სხვები.

რეაქციული პარტიები წინასწარმეტყველებდნენ თავიანთ აბსოლუტურ გამარჯვებას არჩევნებში. მაგრამ მრჩეველთა პალატის არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ დემოკრატიულმა ბანაკმა ჩაშალა რეაქციის ეს ვარაუდი. დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც არჩევნების დროს ჩაყენებული იყვნენ განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში, მაინც დააგროვეს ამომრჩეველთა ყველა ხმის 30-მდე პროცენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ საუდის არაბეთმა, ისევე როგორც ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა და ერაყმა, მიმართა თხოვნით იმის შესახებ, რომ პალესტინის საკითხზე მოწვეული გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის დღის წესრიგს დაემატოს პუნქტი პალესტინისადმი მანდატის მოქმედების შეწყვეტისა და პალესტინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

გაზეთი „პ. მ." გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში დენაციფიკაციის ჩაშლის შესახებ

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „პ. მ." კვლავ ბეჭდავს სტატიებს გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში დენაციფიკაციის ჩაშლის შესახებ. ამ სტატიების ავტორი ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ყოფილი წარმომადგენელი გერმანიაში ჰორინი მიუნხენიდან სწერს, რომ დენაციფიკაციის ჩაშლა სჩანს გერმანელ ახალგაზრდობაში მუშაობითაც.

ჰორინი სწერს, რომ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებმა ახალგაზრდობისათვის მოაწყეს რამდენიმე ლექცია და სადისკუსიო წრე. მაგრამ ამ „დისკუსიებს" მეტისმეტად ხშირად მოჰყვება „თითქმის ერთსულოვანი აზრი იმის შესახებ, რომ სასურველია ახალი ომი". შემდეგ ჰორინი აღნიშნავს, რომ ბავარიაში დენაციფიკაციის პროგრამის შესრულების კონტროლი დავალებული აქვს განათლების რეაქციულ მინისტრს, რომელიც სასკოლო სისტემაში სტოვებს რკინისებური დისციპლინისა და ბრმა მორჩილების ძველ გერმანულ სისტემას, და რომ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა განათლებისა და რელიგიის საკითხებში მეტისმეტად კონსერვატიულია და საჭირო ცვლილებებს არ მოახდენს. მდგომარეობა სახელმძღვანელოების მხრივ, განაგრძობს ჰორინი, საშინელია. მათი უმრავლესობა მოძველებული, ჯერ კიდევ ჰიტლერის დრომდე გამოცემულია. გერმანიის უნივერსიტეტები კვლავ „შოვინიზმის დასაყრდენსა და მილიტარიზმის წყაროს" წარმოადგენენ.

საკმაოდ ბევრი საბუთი მოიპოვება იმის დასამტკიცებლად, სწერს დასასრულს ჰორინი, რომ გერმანიის წარმომადგენლები ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა დახმარებით მთელი ძალღონით ცდილობენ შეინარჩუნონ ნაცისტი პროფესორი მილიტარისტები და ამავე დროს წარმოუდგენელ დაბრკოლებებს უქმნიან ახალი ანტინაცისტური ინსტრუქტორების მუშაობას.

კამპანია ანტიმუშათა კანონმდებლობის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 24 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მილიონნახევარი დოლარი გადასდოს ანტიმუშათა კანონმდებლობის წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანიის ჩასატარებლად. კომიტეტმა განაცხადა, რომ ანტიმუშათა კანონმდებლობის მომხრენი „ამერიკაში გზას უხსნიან ფაშიზმს", და მოუწოდა ტრუმენს ვეტო დაადოს ანტიმუშათა კანონპროექტებს, რომელთა მიზანია პროფკავშირთა უფლებების მოსპობა.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ განაცხადა, რომ იგი „უახლოეს ხანში" შეხვდება ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარეს გრინს ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის გაერთიანების საკითხზე მოსალაპარაკებლად.

დოკუმენტების დაკარგვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის არქივიდან

ლონდონი, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, 22 აპრილს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ბენტონმა კონგრესის ქვეკომისიას აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის არქივებიდან საიდუმლოებით მოცულ პირობებში დაიკარგა „ისტორიული მნიშვნელობის მქონე" ხელშეკრულებები.

საბერძნეთის მთავრობის ჯარების ოპერაციები პარტიზანების წინააღმდეგ

ათენი, 24 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთის გენერალური შტაბის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ მთავრობის ჯარებმა „დაამთავრეს ოპერაცია" პინდის სამხრეთ ნაწილში. ამასთან ერთად მან აღიარა, რომ პარტიზანთა ზოგიერთმა ნაწილმა თავი დაიღწია გარემოცვას და რომ პარტიზანთა მცირე ჯგუფები გარშემორტყმულ რაიონში ბრძოლას განაგრძობენ. გენერალური შტაბის წარმომადგენლის სიტყვით, პარტიზანებმა ამ რაიონში დაჰკარგეს 426 კაცი მოკლულთა სახით და 249 კაცი ტყვეთა სახით.

მაგრამ, ჟურნალისტთა წრეებიდან მიღებული ცნობებით, პარტიზანთა ზარალის ოფიციალურ ციფრებში შეტანილია ჰაერიდან დაბომბვისა და არტილერიის დაშენის შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში მომხდარი მსხვერპლი, ხოლო ტყვეთა რიცხვში შეტანილი არიან პარტიზანულ რაიონებში დაპატიმრებული „საეჭვო პირები". მემარჯვენე პრესაც კი რამდენჯერმე იუწყებოდა, რომ ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს პარტიზანული რაიონების მშვიდობიანი მცხოვრებნი.

სამხედრო წრეებთან ახლო მდგომი გაზეთი „იმბროსი" სწერს, რომ 22 აპრილს დაიწყო ჯარების შეტევა კაზაკასის მთასა და მდინარე ახელოოსს შუა, თუმცა ეს უბანი იმ რაიონში შედის, რომელშიც, როგორც ახლახან გამოაცხადეს, ოპერაციები „დამთავრებულია". ჟურნალისტთა წრეებიდან მიღებული ცნობებით, ფაქტიურად ოპერაციები სამხრეთ პინდში გრძელდება, მაგრამ საბერძნეთის მთავრობისათვის უსიამო შედეგებით, და ამიტომ გადაწყდა ეს ოპერაციები დამთავრებულად გამოეცხადებინათ.

ფაშისტური ორგანიზაცია ინგლისურ ზონაში

ბერლინი, 23 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, გერმანიის ოკუპაციის ინგლისური ზონის სამხედრო ადმინისტრაციამ ნება დართო „რელიგიური და დემოკრატიული" ორგანიზაციის სახით შენიღბული ცნობილი ფაშისტური „ლუდენდორფის კავშირის" საქმიანობა. ამ ფაშისტური ორგანიზაციამ, რომელსაც სათავეში უდგას მატილდა ლუდენდორფი, თავისი მოღვაწეობა დაიწყო ცირკულარული წერილის გავრცელებით და მატერიალური დახმარების გაწევით, რა გზითაც იგი აგროვებს თავის ძველ მომხრეებს და თავისურ თავის გარშემო ჰიტლერული პარტიის ნაშთებს. მატილდა ლუდენდორფი თავგამოდებული ანტისემიტი, რასობრივი სიძულვილის მქადაგებელი, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის იდეოლოგიური მომზადების მონაწილეა.

ამგვარი ორგანიზაციის საქმიანობის ნებადართვის შედეგად, სწერს შემდეგ გაზეთი, რეაქციის ბანაკში გაჩნდა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც უელრესად მარჯვენა ფრთაზე დგას, „სადაც უკვე უმისოდაც ვიწროობა შეიქმნა, რადგან აქ ამას წინათ მოღვაწეობა დაიწყო სამართლის გერმანულმა პარტიამ".

დასასრულ გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" სწერს, რომ „ყოველივე ეს მოგვაგონებს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პეროდს, რომელსაც მოჰყვა ფაშიზმი, დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობა და დამთავრდა დიდი უბედურებით". ნუთუ ინგლისურ ზონაში ვერავინ ხედავს ახალი ფაშიზმის წარმოშობას? — ამბობს გაზეთი.

იტალიის პრესა სიცილიის არჩევნებში „სახალხო ბლოკის" გამარჯვების შესახებ

რომი, 24 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" კომენტარს უკეთებს სიცილიის სათათბირო კრების არჩევნების შედეგებს და და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ანტიდემოკრატიული, ანტირესპუბლიკური და ანტისახალხო ძალები დამარცხდნენ იქ, სადაც ყველაზე ძლიერად მიაჩნდათ თავი", ხოლო „სახალხო ბლოკმა" გაიმარჯვა, „მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა: მოტყუებისა, ცილისწამებისა, ძალადობისა და კორუფციისა".

იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერი ნენი გაზეთ „ავანტის" მოწინავე სტატიაში სწერს, რომ „სიცილიაში „სახალხო ბლოკის" გამარჯვება პრელუდიაა ხალხის ძალების სრული გამარჯვებისა მთელ იტალიაში მომავალ საყოველთაო არჩევნების დროს".

ნენის გამოსვლა რომში

რომი, 23 აპრილი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა პიეტრო ნენიმ, რომელიც 20 აპრილს გამოვიდა სოციალისტური პარტიის წევრთა მიტინგზე რომში, მოითხოვა პარლამენტის საყოველთაო არჩევნების ჩატარება 1947 წლის შემოდგომაზე და აღნიშნა, რომ მოსალოდნელია „ძალაუფლების ბოროტად გამოყენების" ცდები ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მხრივ, რომელსაც ახლა უკვე ემხრობა არა 8 მილიონი ამომრჩეველი, „არამედ, შესაძლოა, მხოლოდ 4 თუ 5".

იტალიის პროგრესული ძალების წინაშე, განაცხადა ნენიმ, დგას ამოცანა — განამტკიცონ სოციალისტების და კომუნისტების ერთიანი მოქმედების პოლიტიკა და მუშების, მოჯამაგირეების, გლეხებისა და საშუალო ფენების კავშირი, რათა უზრუნველჰყონ საპარლამენტო უმრავლესობა, რომელსაც უნარი ექნება შეჰქმნას მთავრობა, რომელიც გაატარებს სამრეწველო და აგრარულ რეფორმას იტალიაში.

ნენიმ ილაპარაკა საგარეო პოლიტიკის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ტრუმენის უკანასკნელმა გამოსვლებმა თვალი აუხილა ევროპისა და მთელი მსოფლიოს ყველა დემოკრატს, ყველა სოციალისტს". თურქეთისა და საბერძნეთის საქმეებში ამერიკის უხეში ჩარევა იტალიისათვის ჰქმნის „კოლონიური დამონების საფრთხეს, რასაც ჩვენ უარვყოფთ". „ევროპას საშუალება უნდა ჰქონდეს თვითონ გადასწყვიტოს თავისი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის საკითხები". იტალიას, განაცხადა დასასრულ ნენიმ, აქვს პოლიტიკურ თავისუფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლება.

ვიტორიო მუსოლინი არგენტინაში იმალება

პარიზი, 24 აპრილი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან იუწყება, დადასტურდა ცნობები იმის შესახებ, რომ მუსოლინის შვილი ვიტორიო ამჟამად ბუენოს-აირესში იმყოფება.

რომი, 24 აპრილი. (საკდესი). იტალიის პოლიციის უფროსმა ფერარიმ კომენტარი გაუკეთა ცნობებს ვიტორიო მუსოლინის არგენტინაში ყოფნის შესახებ და აღნიშნა, რომ ვიტორიო მუსოლინი იტალიის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს მტერთან თანამშრომლობის ბრალდებით.



• • •

თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა დღითიდღე უმჯობესდება. გადიდდა ტრამვაისა და ტროლეიბუსების ვაგონთა რიცხვი, კაპიტალურად შეკეთდა რკინიგზები, შეიქმნა ახალი მარშრუტები, მუშაობენ ავტობუსები.

სურათზე: მოსკოვიდან ამ დღეებში მიღებული ახალი ტროლეიბუსი კარლ მარქსის მოედანზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

• • •

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი 26 აპრილიდან 10 მაისამდე აწყობს ლექცია-ექსკურსიებს თემებზე: 1. ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი, 2. ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი.

უმაღლესი სასწავლებლების II კურსის სტუდენტებისათვის ჩატარდება ლექცია-ექსკურსიები თემაზე: „ი. ბ. სტალინი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში" (დიდი სამამულო ომის დასაწყისი. გერმანელთა განადგურება მოსკოვთან და სტალინგრადთან).

ლექცია-ექსკურსიებისათვის წინასწარი ჩაწერა სწარმოებს ფილიალის საექსკურსიო ბიუროში (ტელეფონი— № 3-14-84 ან ქვესადგურით — № 3-05-60).

დიდი მოგებები

სოფელ დიღომში მცხოვრებმა მასწავლებელმა ოლღა გრიგოლის ასულმა ლვინიაშვილმა 1942 წლის სამხედრო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაციით მოიგო 10.000 მანეთი.

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროს მუშამ მარო ივანეს ასულმა ყუბანეიშვილმა ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა მეოთხე სახელმწიფო სამხედრო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაცია—სერია 066056, № 41. აღნიშნულ ობლიგაციას ხვდა 50.000 მანეთი მოგება.

სიღნაღი

მუშათა საცხოვრებელი ბინები

ლ. პ. ბერიას სახელობის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შენდება მუშათა საცხოვრებელი ბინები. ახლო ხანში დამთავრდება 40 ოჯახისათვის გათვალისწინებული ბინების აგება.

რძის გადამამუშავებელი ქარხანა

მდინარე იორის საძოვრებზე მოეწყო რძის გადამამუშავებელი ქარხანა. ქარხანა მომსახურებას უწევს სოფლების მაღაროს, ნუკრიანის, ულიანოვკის, ქვემო და ზემო ბოდბის საკოლმეურნეო ფერმებს.

ახალი საწარმოები

ქალაქ სიღნაღში ჩამოყალიბდა სარეწაო არტელი, რომელმაც უკვე აამუშავა ელექტროწისქვილი და შეუდგა ავეჯეულობის ქარხნის მშენებლობას, რისთვისაც უკვე მოზიდულია 100 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა.

კომერციული მაღაზია დაბა წნორში

წნორის კოოპერატივის გამგეობამ (თავმჯდომარე გ. ყარალაშვილი) ახლახან დაამთავრა დიდი სავაჭრო მაღაზიის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და გურჯაანის რაიონებისათვის. მაღაზია უახლოეს დღეებში დაიწყებს მუშაობას.

სემინარი

28 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარი.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

კინოებში

26 აპრილს: რუსთაველის სახელობის — „გრიგალი"; „ამირანი" — „ჯორჯი დინკი ჯაზიდან"; კომკავშირელი" — „ტყუპი"; „სპარტაკი" — „ცირკი"; „თბილისი" — „უშზითვო"; 26 კომისრის სახელობის—„პეპო"; „კოლმეურნე" — „ცამეტნი".

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(მეორე წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვების რიგითი მეცხრე ტირაჟის მოგებათა

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 5 მარტს ქალაქ მოსკოვში. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეორე წლის გამოშვება) ოცდამეცხრე ტირაჟში მოგებანი ხვდათ სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 74 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით
60340	1—50	150	69532	09*)	500
60566	44*)	500	69650	23*)	500
60588	1—50	200	69677	50*)	500
60598	33*)	500	70106	41*)	500
60659	09*)	500	70306	05*)	500
60662	34*)	500	70341	1—50	200
60796	35*)	500	70384	23*)	1,000
60985	42*)	500	70487	46*)	500
61052	1—50	150	70507	1—50	150
61160	40*)	500	70534	20*)	500
61166	36*)	500	70799	30*)	500
61330	02*)	500	71200	27*)	500
61396	28*)	500	71572	1—50	200
61729	18*)	500	71671	19*)	500
61963	1—50	200	71718	48*)	500
62093	18*)	500	72202	02*)	500
62235	26*)	500	72450	17*)	500
62294	06*)	500	72528	33*)	1,000
62664	1—50	200	72839	1—50	200
62725	45*)	1,000	73203	13*)	500
62879	34*)	500	73478	45*)	500
62906	06*)	1,000	73491	15*)	500
62949	39*)	500	73542	49*)	500
62961	42*)	500	73712	1—50	200
62977	44*)	500	73753	12*)	500
63169	50*)	500	73910	1—50	200
63324	21*)	500	73940	09*)	500
63414	12*)	500	73941	02*)	500
63419	02*)	500	74048	1—50	200
63517	1—50	150	74127	34*)	500
63856	1—50	200	74219	32*)	500
63990	23*)	500	74333	21*)	500
64038	1—50	150	74460	1—50	200
64185	36*)	500	74572	50*)	500
64546	19*)	500	74850	1—50	150
65022	1—50	200	75341	35*)	500
65105	21*)	500	75401	03*)	500
65120	20*)	500	75422	1—50	200
65201	49*)	500	75807	48*)	500
65321	05*)	500	75853	1—50	200
65394	24*)	500	75927	28*)	500
65497	50*)	500	76035	1—50	200
65507	47*)	500	76309	18*)	500
65539	1—50	200	76313	34*)	500
65630	21*)	500	76590	1—50	150
65708	14*)	500	76599	1—50	200
65736	1—50	150	76750	1—50	150
65798	28*)	500	76788	38*)	500
65846	1—50	200	77058	42*)	500
65859	38*)	500	77258	17*)	500
65889	06*)	500	77293	17*)	500
66025	42*)	500	77294	39*)	500
66100	12*)	1,000	77775	13*)	500
66558	1—50	150	77887	43*)	500
66602	1—50	150	77927	05*)	500
66927	47*)	500	77972	1—50	200
67093	41*)	500	78150	37*)	500
67174	03*)	500	78386	12*)	500
67269	1—50	200	78495	22*)	500
67486	11*)	500	78529	18*)	500
67791	30*)	500	78781	41*)	500
68023	08*)	3,000	78852	02*)	500
68381	43*)	500	78948	1—50	200
68512	44*)	500	79011	1—50	150
68659	42*)	500	79028	24*)	500
68704	1—50	200	79048	1—50	200
68783	1—50	200	79152	06*)	500
68935	1—50	200	79169	05*)	500
69154	03*)	500	79266	06*)	500
69189	25*)	500	79304	1—50	200
69241	09*)	500	79417	1—50	200
69334	39*)	500	79470	27*)	500
69401	10*)	500	79674	1—50	200

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
ა. ა. ლისკოვიჩი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ა. პ. დუდაკოვი

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექციები

28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ამხ. ენუქიძის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

ბილეთების მიღება შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) შესდგება ამხ. ლებანიძის ლექცია თემაზე: „სტალინის თხზულებათა I ტომი".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

26 აპრილისათვის

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15—ლიტერატურული გადაცემა — ი. მოსაშვილის ლექსები.

რადიოსადგურებით 1154 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20—საოპერო მუსიკის კონცერტი. 17.40 —გადაცემა ბავშვთათვის — ბაჩანას ლექსები. 18.20—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 19.15—საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აზმაიფარაშვილი. 20.30—ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლის კონცერტი. 20.45 — საუბარი თემაზე: „ბრძოლა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის". 21.05—საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, ასრულებს პიანისტი თოხელისი. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა—იუმორისტული მოთხრობები. 23.00 —კონცერტი საკავშირო რადიოკომიტეტის სოლისტის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის კაზანცევას და ფერკელმანის შესრულებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდრობიოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) ავტობიოგრაფია, 3) ასლი დიპლომისა უმაღლესი განათლების შესახებ, 4) ასლი დოკუმენტებისა სამეცნიერო ხარისხის და წოდების შესახებ, 5) სამეცნიერო ნაშრომების სია, 6) სამეცნიერო ნაშრომები, 7) დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან.

დირექცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 8 მაისს, დილის 12 საათზე, მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული) შესდგება ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც პარმენ სილიბისტროს-ძე ხელაძე დაიცავს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას თემაზე: „მასალები საქართველოში გავრცელებული გარეული ღორის (Sus scrofa attila Thom) ბიო-ეკოლოგიის შესწავლისათვის".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ვ. ნ. რონტომბეკოვი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დ. დ. მელაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. დირექცია

მეუღლე ოლღა, შვილი ლენა, დები ნინო, ზინა, სიძეები პოლიევქტი, გიორგი, დისწულები ალიოშა, ლილი, ლამარა იუწყებიან ოსებ ალექსის-ძე რუხაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV ღანირ-ქუტირში.

მ. ალექსიშვილი, ვ. ბურჯანაძე, ა. ჯიშიაშვილი, ს. ჰილაია, ვ. ჰიაურელი, ზ. სიმონიშვილი, თ. ზახაშვილი, თ. ქორქიაშვილი, ქ. ანთიძე, თ. კოსტანაშვილი, ვ. გოგუაძე, ქ. კასპაროვა იუწყებიან შურა მენაბდის შვილის პატარა მანანას გარდაცვალებას.

მეუღლე ვარა თელიძე შვილებით, თამარ, ალექსანდრე, მერი თელიძეები იუწყებიან აკაკი მელიტონის-ძე ტერელაძის გარდაცვალებას. გამოსვენება გულრიფშიდან, დაკრძალვა 27-IV, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან იოსებ იოსების-ძე მამისაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 26-IV, 5 ს. დასავლეთის, 28.

მეუღლე ვალდიონ, შვილები მანია, ისიდორე, ოქროპირ, ეთერ, შოთა, რძალი ლუბა, სიძე იუსტინე, შვილიშვილები იუწყებიან სონია ალექსის ასულ ნარჩემაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-IV პატრიკეთში.

მეუღლე მარო შვილებით, დები სონია, ლიზა, ოვლიტა, ნატაშა ოჯახებით, სიძე შოთა ხუნდაძე იუწყებიან სერაპიონ ივლიანეს-ძე ქორიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IV საჰამიასერში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-83, განყოფი ლებებისა: პროპაგანდის—3 82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოს—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84 მიღებისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00067